საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 79-02
17/01/2018

,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე მეტყევეობისა და ტყის მეცნიერების მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2017 წლის 18 დეკემბრის N3493-02 ბრძანებაში ტექნიკური შედომის გასწორების შესახებ

2017 წლის 16 ოქტომბრის რექტორის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე მეტყევეობისა და ტყის მეცნიერების მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ ”N2899-02 ბრძანებაში აკადემიურ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი უნდა დამტკიცებულიყო 2017 წლსი 18 დეკემებერს. N2899-02 ბრძანება წესისამებრ გამოიცა 2017 წლსი 18 დეკემებერს, მაგრამ ბრძანების პირველ პუნქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა და კონკურსის შედეგი დამტკიცდა 11 დეკემებრს, ნაცვლად 18 დეკემებრისა.
”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 სექტემბრის N8 და 2017 წლის 7 დეკემბრის N13 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა რექტორის 2017 წლის 18 დეკემბრის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე მეტყევეობისა და ტყის მეცნიერების მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ“ N3493-02 ბრძანების პირველ პუნქტში: 11 დეკემბრის ნაცვლად ჩაიწეროს 18 დეკემბერი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,2017 წლის 18 დეკემბერს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე მეტყევეობისა და ტყის მეცნიერების მიმართულებითპროფესორის** 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და

მეტყევეობისა და ტყის მეცნიერების მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული იქნას **ლარს დროსლერი.“**

2.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

3.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

გიგა ზედანია

რექტორი